შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულებულია სტატიკურ და დინამიკურ 8 ბალიანი (სეისმიურ) - ЛИРА-САПР 2013-ის გამოყენებით.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ², ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ².

კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შენობის მზიდ კონსტრუქციებში ძალვათა თანწყობისას გათვალისწინებული იქნა შესაბამისი სათანადო კომბინაციები:

შემოწმებისას დადგინდა საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კლიმატური პირობები და მის საფუძველზე შედგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან. რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების გამოვლინება-განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საცხოვრებელი კომპლექსის ექსპლოატაციას-არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი მონაცემებით პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და არქიტექტურა სრული შემადგენლობით ურთიერთ შესაბამისობაშია.

პროექტის თანმდევ „განმარტებით ბარათში" მითითებული შენიშვნები და ჩემი-ექსპერტის-შენიშვნები გათვალისწინებული იქნა და შეტანილი სათანადო ცვლილებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

ვითვალისწინებთ რა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 30 აპრილის N4942048 გადაწყვეტილებას პროექტის მიმართ ხარვეზების (ძირითადად რეკომენდაციის ხასიათისაა და რომელიც შენობის მდგრადობაზე გავლენას ვერ მოახდენს) მითითებით და მოთხოვნას კორექტირების პროცესში ტექნიკური მდგომარეობისა და მასზე ზეგავლენის შესახებ დასკვნის გაცემას პროექტის შემდგენელების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი შესაბამისი ცვლილებები პროექტის არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნაწილებში, აგრეთვე ჩატარებული დამატებითი კომპიუტერული ანგარიშების შედეგები იმსახურებს უკვე შეთანხმებული პროექტის კორექტირება შეფასდეს დადებითად და მოსალოდნელ მდგრადობაზე უარყოფითი ზეგავლენის არ არსებობის გამო, შესაძლოა გაკეთდეს საინჟინრო-ტექნიკური დასკვნა.

დასკვნა

ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩის N13-ში მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის 28 და 25 სართულიანი (ტერასებით) შენობების, კორექტირების შემდგომ წარმოდგენილი საპროექტო ცვლილებები გვაძლევს საფუძველს ავღნიშნოთ, რომ მშენებლობის პროცესში არ გამოუწვევია რაიმე საფრთხე და მომავალშიც არ არის მოსალოდნელი მდგრადობის გაუარესება და უსაფრთხოების დარღვევა.

ექსპერტი-ინჟინერ მშენებელი
საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი:

ნ.ჭკუასელი

28.07.2020წ

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული დასკვნა ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩის N13, (ს/კ 01.10.16.004.154) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ფირმა „Green city"-ს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ჩემს მიერ ექსპერტი-კონსტრუქტორი-მშენებელი-ნ.ჭკუასელი-2019 წლის იანვარ-თებერვალში შემოწმებული და შესწავლილი იქნა საექსპერტიზოდ წარმოდგენილი ქ.თბილისში, თამარაშვილის ქუჩის N13-ში ასაშენებელი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის (შემდგომ კორექტირებული) არქიტექტურული და კონსტრუქციული მუშა ნახაზები, სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევისა და შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების სისტემის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები და „განმარტებითი ბარათი". წინამდებარე დასკვნაში გათვალისწინებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული სამსახურის მიერ წარმოდგენილი N4978679 – 1 ივლისის გადაწყვეტილება.

დამკვეთი ორგანიზაცია: „გრინ სითი"-ს დირექტორი:	შ.ხეცურიანი
მთავარი არქიტექტორი:	ს.ავალიანი
მთავარი კონსტრუქტორი:	თ. მაცაბერიძე
ექსპერტი-კონსტრუქტორი:	ნ. ჭკუასელი

პროექტის კორექტირება წარმოდგენილია შემდეგნაირად: - ასაშენებელი კომპლექსის 29 სართულიან ნაწილს ერთი საცხოვრებელი სართული მოეხსნა - ზევით ტერასის მოწყობით, სამაგიეროდ 24 სართულიან ნაწილს მიემატა ერთი საცხოვრებელი სართული - ზევით ტერასის მოწყობით.

მრავალსართულიანი სახცოვრებელი კომპლექსი გეგმაში „Г"-ს ფორმისაა. პირველი ნაწილი კორექტირების შემდგომ, 28 სართულიანი, ხოლო მეორე - 25 სართულიანია; შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით;

შენობის მიწისქვეშა სართულის სიმაღლე H=3.1მ; კომერციული სართულის სიმაღლე H=6,0მ; მიწისზედა პირველი ოთხი სართული განკუთვნილია ავტოსადგომებისათვის, საოფისე და კომერციული სივრცეებისათვის.

სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე მაღლივი შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია წრიული განივკვეთი Φ = 120 სმ. დგარი-ხიმინჯებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია 110 სმ. სისქის ფილა-როსტვერკით. დგარი-ხიმინჯები ჩაწერებულია ნაკლებად გამოფიტულ ძირითად ქანში 2,5 მ-ის სიღრმეზე.

ხიმინჯების თავების შემკვრელი ფილა-როსტვერკი ნაწილობრივ დაფუძნებულია გამოფიტულ ძირითად ქანზე, ნაწილი კი თიხოვან გრუნტზე.

გეოლოგიური დასკვნის მიხედვით სამშენებლო მოედან , ხასიათდება გრუნტის წყლების არსებობით. მიწის ზედაპირიდან გრუნტის წყლები გამოვლენილი იქნა 1,8-4,7 მ-ის სიღრმეზე, ხოლო გამყარების დონედ მიღებულია 1,0-3,7მ. ქვაბულის მოწყობისას გათალისწინებულია წრიული დრენაჟის მოწყობა.